



საქართველოს პარლამენტის
საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის
სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

2018-2020



საქართველოს
წინააღმდეგობის

საქართველოს პარლამენტის
საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის
სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

2018-2020



ევროკავშირი
საქართველოსთვის

The European Union for Georgia



Inter-Parliamentary Union
For democracy. For everyone.



სააქტიურობის
წახალისებელი



Empowered lives.
Resilient nations.

წინამდებარე გამოცემა მოამზადა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა ევროკავშირის (EU), გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და საპარლამენტათმორისო კავშირის (IPU) მხარდაჭერით. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი და მისი შინაარსი შეიძლება არ გამოხატავდეს ევროკავშირის, გაეროს განვითარების პროგრამისა და საპარლამენტათმორისო კავშირის პოზიციას.

სურჩევი

▶ შესავალი	6
▶ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის საქმიანობის სტრატეგია	7
▶ სტრატეგიული მიზანი 1. საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრა და მათი განხორციელების ხელშეწყობა	9
▶ სტრატეგიული მიზანი 2. კომიტეტის საზედამხებელო საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა	17
▶ სტრატეგიული მიზანი 3. კანონშემოქმედებითი ფუნქციის გაძლიერება	18
▶ სტრატეგიული მიზანი 4. კომიტეტის საქმიანობა ქვეყნის ფარგლებს გარეთ საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების რეალიზების მიზნით და მისი საქმიანობის შესახებ კომუნიკაციის გაუმჯობესება ქვეყნის შიგნით	19
▶ სტრატეგიული მიზანი 5. კომიტეტის ორგანიზაციული საქმიანობის გაუმჯობესება	22
▶ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა	25

შესავალი

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის საქმიანობის წარმატებით განსახორციელებლად, კომიტეტის ინიციატივით შემუშავდა კომიტეტის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. წარმოდგენილი დოკუმენტი განსაზღვრავს კომიტეტის სტრატეგიულ მიზნებს და მათ შესაბამის ამოცანებს, რომლებიც მოიცავს კომიტეტის ფუნქციონირების ხუთ ძირითად მიმართულებას:

- საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული საგარეო პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტთა განხორციელების ხელშეწყობა;
- კანონშემოქმედებითი საქმიანობა;
- საზედამხედველო საქმიანობა;
- ქვეყნის ფარგლებს გარეთ საქმიანობა, ხოლო მის შიგნით სტრატეგიული კომუნიკაცია დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის, სახელმწიფო სტრუქტურებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან;
- კომიტეტის შიდა შესაძლებლობების განვითარება და არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენება.

სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარეობს შესაბამისი ამოცანები, ხოლო მათთან დაკავშირებული ქმედებები განისაზღვრება კომიტეტის სამოქმედო გეგმაში.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სტრატეგია შეიქმნა კომიტეტის ხელმძღვანელობისა და „საპარლამენტო-აშორისო კავშირის“ მიერ მონვეული საერთაშორისო ექსპერტის მოსაზრებათა საფუძველზე. სტრატეგიაში ასევე აისახა რეკომენდაციები, რომლებიც შემუშავდა კომიტეტის წინასწარი სიტუაციური ანალიზის შედეგად. დოკუმენტი მომზადდა ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივი პროექტის – „საპარლამენტო დემოკრატიის სისტემის გაძლიერება საქართველოში“ – მხარდაჭერით.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის საქმიანობის სტრატეგია

ხელე

საქართველოს პარლამენტმა, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის აქტიური მონაწილეობით, კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, 2016 წლის 29 დეკემბერს მიიღო რეზოლუცია საგარეო პოლიტიკის შესახებ, რომელშიც განსაზღვრა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმთავრესი მიზნებია საერთაშორისო დონეზე ქვეყნის პოზიციების განმტკიცება, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა, ქვეყანაში უსაფრთხო და სტაბილური გარემოს შენარჩუნება და მოქალაქეების კეთილდღეობა. საქართველო წარმატებით წარმართავს საგარეო პოლიტიკას ორმხრივ თუ მრავალმხრივ ფორმატში და აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო თანამეგობრობასთან. ამავდროულად, საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო სტაბილურობის, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და თავისუფლების დაცვის, კანონის უზენაესობისა და თანასწორობის უზრუნველყოფის საქმეში.

საქართველო ყალიბდება საერთაშორისო თანამეგობრობის სრულფასოვან წევრად, რომელიც საგარეო პოლიტიკის განხორციელებისას საერთაშორისო სამართლის პრინციპებითა და წესებით ხელმძღვანელობს. ეროვნული ინტერესების დაცვასთან ერთად, ქვეყანა ცდილობს, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცებაში. ჩვენი შეიარაღებული ძალების წვლილი საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში საყოველთაოდ აღიარებულია. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ საქართველო უსაფრთხოების მომხმარებელი ქვეყნიდან უსაფრთხოების მიმწოდებელ საიმედო პარტნიორად ჩამოყალიბდა.

საქართველო, მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ერთად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო ტერორიზმისა და ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას.

საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო და რეგიონული საპარლამენტო თანამშრომლობის პროცესში. ქართველი პარლამენტარები აქტიურად მონაწილეობენ საპარლამენტო-საერთაშორისო ფორუმებში და არაერთი საპარლამენტო ასამბლეის წევრები არიან, მათ შორის, ევროპის საბჭოს, ეუთოს, ნატოს, სუამის, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის და სხვა. საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, ქვეყანა მონაწილეობს თანამედროვე მსოფლიოში დემოკრატიული ფასეულობებისა და საყოველთაო კეთილდღეობის დამკვიდრების პროცესში.

ქვეყნის საგარეო პოლიტიკის უცვლელი პრიორიტეტებია თანამშრომლობა და სტრატეგიული პარტნიორობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, სწრაფვა ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციისკენ და თანამშრომლობა მათ წევრ სახელმწიფოებთან. აღნიშნულ პრიორიტეტთა რეალიზებას საქართველოს პარლამენტი აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად კოორდინირებული საქმიანობით უზრუნველყოფს.

საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა დიდწილად ზემოქმედებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე. სახელმწიფოსა და მთლიანად რეგიონის უსაფრთხო, მშვიდობიან განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ორმხრივი თუ მრავალმხრივი დაბალანსებული და ქმედითი თანამშრომლობა რეგიონის ქვეყნებთან, მათ შორის, უშუალო მეზობლებთან.

ბოლო ათწლეულებში საქართველო გლობალური მნიშვნელობის რეგიონული პროექტების განხორციელების ასპარეზად იქცა. ამ ისტორიული უპირატესობის ეფექტიანი გამოყენება და შესაძლებლობათა სრული რეალიზება აღსანიშნავ წარმატებას მოუტანს ქვეყანასაც და რეგიონის სხვა სახელმწიფოებსაც. საპარლამენტო თანამშრომლობის განვითარება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საუკეთესო თანამშრომლობისა და პარტნიორობის ჩამოყალიბებაში.

საქართველოს პარლამენტი მხარს უჭერს ქვეყნის პრაგმატულ და პრინციპულ პოლიტიკას რუსეთის ფედერაციის მიმართ, რომლის მიზანიცაა უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა, ქვეყნის ტერიტორიების დეოკუპაცია, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მშვიდობიანი გზით და სუვერენიტეტის დაცვა.

პარლამენტის ზოგადი საზედამხებდველო ფუნქციის სწრაფი ზრდის კვალდაკვალ, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი ამ ფუნქციის გაძლიერებას ესწრაფვის, რაც ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს ქვაკუთხედიანია. ამის მიღწევა შესაძლებელია შესაბამის სამინისტროებთან რეგულარული საკომიტეტო მოსმენების გზით.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი უნდა დარჩეს საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე მსჯელობის მნიშვნელოვან ფორუმად და იმ სივრცედ, რომელიც ერთგვარი ხიდის ფუნქციას შეასრულებს ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის. ამისათვის საჭიროა კოორდინირებული და თანმიმდევრული ძალისხმევა, სტრატეგიული კომუნიკაცია და პროაქტიული დღის წესრიგის შემუშავება.

2020 წლამდე, საკუთარი უფლებამოსილების ვადაში, კომიტეტი იქნება ერთ-ერთი მთავარი რგოლი საგარეო პოლიტიკურ სტრატეგიაში, როგორც განსაზღვრული პრიორიტეტების განხორციელების, ასევე ახალი მიდგომების შემუშავების კუთხით. კომიტეტი აქტიურად ჩაერთვება აგრეთვე აღმასრულებელი შტოს მიერ კოორდინირებულ სტრატეგიულ კომუნიკაციაში. კომიტეტი, არსებული შესაძლებლობების ფარგლებში, მაქსიმალური ეფექტიანობით განახორციელებს დასახულ სტრატეგიულ მიზნებს.

სტრატეგიული მიზანი 1. საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრა და მათი განხორციელების ხელშეწყობა

კომპანა 1.1. ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა და დეოკუპაციის პროცესის ხელშეწყობა

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მშვიდობიანი გზით ჩვენი ქვეყნის უმთავრესი ამოცანაა. ამ მიმართულებით, ისევე როგორც ქვეყნის ტერიტორიების დეოკუპაციის კუთხით, ჩატარებულია მნიშვნელოვანი სამუშაოები. თუმცა, სასურველი შედეგის მიღწევა ვერ ხერხდება, რადგან ოკუპანტი ქვეყანა სრულიად უგულებელყოფს საქართველოსა თუ საერთაშორისო თანამეგობრობის პრინციპულ მოთხოვნებს და საერთაშორისო ნორმებს უხეშად არღვევს. თანადგომა როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ დონეზე ძალიან მნიშვნელოვანია. საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორებს, მეგობარ ქვეყნებსა და ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციებს არაერთი მხარდამჭერი რეზოლუცია თუ პოლიტიკური დეკლარაცია მიუღიათ. აღნიშნული პოზიციის გასამყარებლად, კომიტეტი უფრო აქტიურად ჩაერთვება დამატებითი მექანიზმების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში, საერთაშორისო საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის თანამშრომლობის ფარგლებში. ამ მიმართულებით უნდა გაძლიერდეს მუშაობა როგორც სტრატეგიულ პარტნიორებთან (აშშ, ევროკავშირი და სხვა), ისე მეგობარ სახელმწიფოებთან, რომლებიც მსგავსი პრობლემების წინაშე დგანან (უკრაინა, მოლდოვა), რათა საპარლამენტო დონეზე გააქტიურდეს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხები, აქტუალური გახდეს ამ სახელმწიფოთა მხრიდან რეზოლუციებისა თუ სხვა მხარდამჭერი დოკუმენტების მიღების ხელშეწყობა და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან საკითხის ლობირება.

მრავალმხრივ ფორმატში მხარდაჭერის გაძლიერების მიზნით, მნიშვნელოვანია კომიტეტის ჩართულობის გაძლიერება ქვეყნისათვის მნიშვნელოვან რეზოლუციებზე საერთაშორისო მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ასეთ რეზოლუციათა შორის შეიძლება დასახელდეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებიდან დევნილთა სტატუსის შესახებ საქართველოს ყოველწლიური რეზოლუცია, რომელსაც გაეროს გენერალური ასამბლეა ყოველ წელს დებულობს; ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობის შესახებ საქართველოს რეზოლუცია, რომელიც გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ ბედიზედ მეორე წელია მიიღო. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა, კომიტეტის წევრებისა და სამიზნე ქვეყნების წარმომადგენელთა შეხვედრების დღის წესრიგის საკვანძოდ საკითხად განისაზღვროს საქართველოს რეზოლუციებზე მხარდაჭერის მოპოვება.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი მუდმივად უნდა აწვდიდეს ინფორმაციას საერთაშორისო თანამეგობრობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების, ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული კუთხით არსებულ მდგომარეობაზე.

ასევე მნიშვნელოვანია კონფლიქტის საკითხებზე სტრატეგიული კომუნიკაციის გაძლიერება, ერთიანი გზავნილების შემუშავება, როგორც სამთავრობო უწყებათაშორის დონეზე, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ მედიასთან მუშაობითა და კოორდინაციით. კომიტეტს სრულად და რეგულარულად უნდა მიეწოდებოდეს ანგარიში იმასთან დაკავშირებით, რომ საერთაშორისო საზოგადოება

სათანადოდაა ინფორმირებული ჟენევის მოლაპარაკებების მიმდინარეობაზე, ასევე საქართველოს ხელისუფლების საქმიანობაზე კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების, შერიგებისა და ნდობის აღდგენის მიმართულებით.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და დეოკუპაციის პროცესის დაწყებამდე, პრიორიტეტად რჩება არალიარების პოლიტიკა. ამ კუთხით საქართველოს საყოველთაო მხარდაჭერა აქვს. თუმცა, ოკუპანტი ქვეყანა განაგრძობს თავგამოდებულ მუშაობას და ძალისხმევას მიმართავს მისთვის ამ სერიოზული ჩავარდნის აღმოფხვრის კუთხით. ევროკავშირის და ნატოს მიმართულებით მუშაობაში სხვა დარგობრივი კომიტეტებიც აქტიურად მონაწილეობენ, ზემოთ აღნიშნულ თემაზე კი საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს ერთპიროვნულად წამყვანი როლი აკისრია. ამ კუთხით საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი გაააქტიურებს მუშაობას პარტნიორ ქვეყნებთან როგორც საპარლამენტო, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის ფარგლებში, რათა პარტნიორებს მიეწოდებოდეთ ინფორმაცია შესაძლო რისკებზე ამ მიმართულებით და მათ გააძლიერონ მხარდაჭერა საოკუპაციო რეჟიმთან კონტაქტის მცდელობათა აღმოსაფხვრელად.

აუცილებელია პრიორიტეტების გამოკვეთა (არსებული საფრთხეების ანალიზისა და შესაბამისი ინფორმაციის შესწავლის საფუძველზე) და ორმხრივ თუ მრავალმხრივ ფორმატში თანამშრომლობის მნიშვნელოვანი გააქტიურება.

ეპოზანა 1.2. ევროკავშირში განუვრცინების მიზნით, შიმდგომი ნახიჯებისა და მოქმედებათა გენსაზღვრა

ევროკავშირის წევრობა ჩვენი ქვეყნის მთავარი საგარეო პოლიტიკური ამოცანაა. საქართველოს ამ საკითხზე გაცხადებული პოზიცია აქვს. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ინსტიტუტები სისტემატურად აკეთებენ შესაბამის განცხადებებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. აქტიურად დაიწყო მუშაობა წევრობის ROAD MAP-ზე. ევროკავშირის წევრობისთვის საგზაო რუკაზე მუშაობის პროცესში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი ძალიან აქტიურად და ინტენსიურად უნდა ჩაერთოს. აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, პარლამენტის შესაბამის კომიტეტებთან, არასამთავრობო სექტორსა თუ საერთაშორისო პარტნიორებთან კოორდინირებული თანამშრომლობისა და პროცესის წარმატებისთვის ეს უაღრესად მნიშვნელოვანია.

ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის გაღრმავებისათვის აუცილებელია მნიშვნელოვანი სამუშაოების ჩატარება რეფორმების გასატარებლად, ასევე საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერის მოსაპოვებლად. კომიტეტს მნიშვნელოვანი როლი აკისრია რეფორმების უზრუნველყოფისთვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნისა და მომზადების კუთხით, აგრეთვე, ევროპულ საპარლამენტო თანამეგობრობაში კონსენსუსის მიღწევის თვალსაზრისით.

ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის კონტექსტში, მისასაღმებელია, რომ ევროპარლამენტი მხარს უჭერს საქართველოსთვის **ევროპული პერსპექტივის** მინიჭებას, თუმცა, აღნიშნულ საკითხზე კონსენსუსის მიღწევა მნიშვნელოვანია ევროკავშირის წევრი ქვეყნების აღმასრულებელი და ეროვნული პარლამენტების დონეზეც. ამ საკითხზე კონსენსუსი ჯერ მიღწეული არ არის. საქართველოსთვის

ევროპული პერსპექტივის მინიჭება უნდა იყოს კომიტეტის სტრატეგიის და სამწლიანი სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა. განსაკუთრებით დინამიკური უნდა გახდეს კონტაქტი ევროკავშირის იმ წევრ სახელმწიფოებთან, რომელთა მხრიდან თანხმობის მიღება უფრო რთულია. კომიტეტმა უნდა დაგეგმოს ვიზიტები აღნიშნულ სახელმწიფოთა დედაქალაქებში და შეიმუშაოს ღონისძიებათა თანმიმდევრული გეგმა. კერძოდ, ავტორიტეტული კვლევითი ცენტრის დახმარებით, ადგილზე გაიმართოს დისკუსიები საქართველოს საკითხებზე, რომელშიც ადგილობრივი კანონმდებლები და ე.წ. აზრის შემქმნელები მიიღებენ მონაწილეობას.

საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესს მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ასოცირების შეთანხმების (Association Agreement), ასევე თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულების გაფორმებამ (DCFTA) და უმოკლეს დროში ძალაში შესვლამ. ამასთან, გააღრმავა ევროკავშირთან სექტორული თანამშრომლობა და, რაც მთავარია, კონკრეტული შედეგები გამოიღო საქართველოს ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვს ევროკავშირთან თანამშრომლობას აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში. მისასალმებელია, რომ 2017 წლის ნოემბერში გამართულ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე შეთანხმდა 20 კონკრეტული შედეგი 2020 წლისათვის. აღნიშნული მიზნების რეალიზება აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგატივაა, ხოლო საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი, შესაბამის დარგობრივ კომიტეტებთან ერთად, აქტიურად ჩაერთვება მონიტორინგის პროცესში.

როგორც ნათქვამია, ისე ევროკავშირში განეწიანების კუთხით, მნიშვნელოვანია თანამშრომლობის გაღრმავება ისეთ სახელმწიფოებთან, რომლებიც გამოკვეთილად მხარს უჭერენ საქართველოს, მაგალითად, ნორდიკული და ბალტიის ქვეყნები. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ნორდიკულ და ბალტიის ქვეყნებთან საპარლამენტო თანამშრომლობა (NB8) მნიშვნელოვნად გაღრმავდა. თუმცა, ბალტიის ქვეყნებთან საქართველოს მჭიდრო ისტორიული კავშირების გათვალისწინებით, არსებობს მეტი სივრცე NB8 ფორმატის უკეთ გამოსაყენებლად – საქართველო-NB8 შორის ურთიერთობებს უფრო სისტემური და თანმიმდევრული ხასიათი მიეცემა. ამ მიზნით, კომიტეტის ინიციატივაა, ჩამოყალიბდეს „NB8 + საქართველო“ ფორმატი, რომელიც შექმნის პლატფორმას საერთო ინტერესების სფეროების რეგულარული განხილვისათვის, როგორცაა ენერგეტიკული უსაფრთხოება, რეგიონული უსაფრთხოება, ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობა და სხვა.

გარდა ამისა, მეტ ძალისხმევას საჭიროებს ე.წ. სკეპტიკურად განწყობილ ქვეყნებთან მუშაობა და მათგან მხარდაჭერის მოპოვება. საგარეო კომიტეტმა აღნიშნული მიმართულებით მნიშვნელოვნად უნდა გააქტიუროს საქმიანობა, რაც გულისხმობს ევროკავშირის ქვეყნების დედაქალაქებში ვიზიტების უფრო პროაქტიულად, სტრატეგიულად დაგეგმვას და ნაყოფიერ განხორციელებას.

ბრექსიტის შედეგად, ევროპაში შექმნილი ახალი რეალობა მნიშვნელოვანი ფაქტორია დიდ ბრიტანეთთან არსებული განსაკუთრებულად მჭიდრო ორმხრივი საპარლამენტო ურთიერთობის მეტად გასაღრმავებლად. კომიტეტი გააქტიურებს მუშაობას, რათა გაერთიანებული სამეფოს ლორდთა და თემთა პალატასთან ორმხრივი თანამშრომლობა ახალ ეტაპზე გადავიდეს.

ამოხანა 1.3. ევროატლანტიკურ სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაციის პროცესში აქტიური თანამონაწილეობა; მოკლე და სრულყოფილი ამოხანების განსაზღვრა

2008 წლის ნატოს ბუქარესტის სამიტზე წევრმა ქვეყნებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საქართველო გახდება ალიანსის წევრი. აღნიშნული გადაწყვეტილების რეალიზაციისკენ საქართველომ არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, იქნება ეს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში, თუ ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების განხორციელება და თავდაცვის სისტემის მოდერნიზაცია.

ნატოში განვერიანების მიმართულებით, უახლოესი წლების პრიორიტეტულ ამოცანად კვლავ რჩება განვერიანების სამოქმედო გეგმის (MAP) მიღება. საგარეო კომიტეტი აქტიურად იმუშავებს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში აღნიშნულ საკითხზე კონსენსუსის მისაღწევად.

ნატო პოზიტიურად აფასებს საქართველოს მიერ განხორციელებულ რეფორმებს. ჩვენი ურთიერთობა ალიანსთან და პრაქტიკული თანამშრომლობა დინამიკურად ვითარდება. საქართველოს აქვს მნიშვნელოვანი პროგრესი ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე ისეთი ინტეგრაციული მექანიზმების მეშვეობით, როგორც არის წლიური ეროვნული პროგრამა, ნატო-საქართველოს კომისია და ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, ალიანსის წევრი ქვეყნები მივიდნენ კონსენსუსამდე საქართველოს ალიანსში განვერიანების/მიწვევის თაობაზე. ნატოს საპარლამენტო ასამბლეა ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორუმია, რომელსაც შეუძლია პოზიტიური როლი ითამაშოს ქვეყნისათვის ამ სასიცოცხლო ამოცანის გადაჭრაში. განვერიანებისაკენ მიმავალ გზაზე მნიშვნელოვანია საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის – აშშ-ს გააქტიურება ნატოს წევრი ქვეყნების დარწმუნების კუთხით. კერძოდ, კომიტეტის საქმიანობის შედეგად, აღნიშნულმა საკითხმა მეტი აქტუალობა უნდა შეიძინოს ასევე აშშ-ს კონგრესში. შესაბამისად, კომიტეტმა ქვეყნის შიგნით უნდა გააქტიუროს მსჯელობა ტაქტიკური ამოცანის განსაზღვრაზე და ქვეყნის ფარგლებს გარეთ მისი რეალიზებისთვის მხარდაჭერის მოპოვებაზე.

ნატოში ინტეგრაციის მხრივ სასურველი შედეგის მისაღწევად არსებითია, სამიტამდე მნიშვნელოვნად ადრე იმართებოდეს დაინტერესებულ მხარეებს შორის კონსულტაციები და შეთანხმდეს პოზიციები. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი იმსჯელებს როგორც პარლამენტში, ისე მთავრობასა და არა-სამთავრობო სექტორთან. შეთანხმებული პოზიციების გასახმიანებლად და მხარდაჭერის მოსაპოვებლად განხორციელდება ვიზიტები წევრი სახელმწიფოების დედაქალაქებში, განსაკუთრებით, იმ ქვეყნებში, რომელთა მხარდაჭერის მოპოვებაც დამატებით ძალისხმევას საჭიროებს.

ნატოსთან პრაქტიკული თანამშრომლობის კიდევ ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს **შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა**. საქართველო ჩართულია ალიანსთან სტრატეგიულ დისკუსიებში შავი ზღვის უსაფრთხოებაზე და – როგორც ასპირანტი ქვეყანა - მზად არის, წვლილი შეიტანოს საერთო ძალისხმევაში. ქართულმა მხარემ ალიანსს წარუდგინა კონკრეტული წინადადებები საქართველოს ჩართვის შესაძლებლობებზე ნატოს მოქმედებებში, რომლებიც შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცებისკენაა მიმართული. ამჟამად, ალიანსში განიხილება საქართველოს შეთავაზებები. ამ პროცესში საქართველოს აქტიური ჩართვა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, როგორც

ნატომი განვევრიანების გზაზე, ისე ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების თვალსაზრისით. შავი ზღვის რეგიონის ნატოს წევრი სახელმწიფოები – თურქეთი, რუმინეთი და ბულგარეთი – ტრადიციულად მტკიცედ უჭერენ მხარს საქართველოს ნატოში განვევრიანებას. კომიტეტის საგარეო ვიზიტების დაგეგმვისას, შავ ზღვაზე უსაფრთხოების განმტკიცების მექანიზმებში ჩართვა ერთ-ერთ პრიორიტეტად უნდა იქცეს მიმდინარე წელს. ამ კუთხით მნიშვნელოვანია მეტი ძალისხმევის მიმართვა შავი ზღვის აუზის კიდევ ერთი ქვეყნის – მეგობარი უკრაინისკენ და, ვიზიტების კვალად, ერთობლივ ღონისძიებათა დაგეგმვა.

მოდული 1.4. საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორთან – აშშ-თან ურთიერთობის გაღრმავება

შეერთებული შტატები საქართველოს უმთავრესი სტრატეგიული პარტნიორია. ორი ქვეყნის ურთიერთობა თვისებრივად ახალ ეტაპზე გადავიდა 2009 წლის 9 იანვარს, როდესაც ხელი მოეწერა აშშ-საქართველოს ქარტიას სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ. აღნიშნული ქარტია განსაზღვრავს და განავითარებს ორმხრივ პარტნიორულ ურთიერთობას ოთხი ძირითადი მიმართულებით: 1) თავდაცვა და უსაფრთხოება; 2) ვაჭრობა, ეკონომიკა და ენერჯეტიკა; 3) დემოკრატიის განმტკიცება 4) ხალხთაშორისი და კულტურული კავშირების გაღრმავება.

აღმასრულებელ დონეზე მტკიცე პარტნიორული ურთიერთობის პარალელურად, უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში, აშშ საქართველოს განუხრელ მხარდაჭერას გამოხატავს სენატისა და წარმომადგენელთა პალატის მიერ მიღებული რეზოლუციებით, საკანონმდებლო ინიციატივებითა და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტებით, რომლებიც, სხვა საკითხებთან ერთად, განამტკიცებენ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, მხარს უჭერენ დეოკუპაციისა და ოკუპირებული ტერიტორიების მშვიდობიანი რეინტეგრაციის პროცესს, მტკიცე მხარდაჭერას უცხადებენ საქართველოს ნატოში განვევრიანებასა და ევროპულ არჩევანს, ხელს უწყობენ ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებას და სტაბილურობის შენარჩუნებას, აღიარებენ საქართველოს უმნიშვნელოვანეს წვლილს საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თანამშრომლობა აშშ-ს კონგრესთან მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ორმხრივი ურთიერთობის გაღრმავების შესაძლებლობას ზემოხსენებული მიმართულებებით. დაგეგმილი ვიზიტები უნდა ემსახურობდეს აღნიშნული თანამშრომლობის კიდევ მეტად გაღრმავებას, მათ შორის, ეკონომიკური ურთიერთობის გაძლიერებას და ინვესტიციების მოზიდვას. მნიშვნელოვანია თანამშრომლობის დინამიკის ზრდა აშშ-ს კონგრესში მოქმედ „Georgia Caucus“-თან. ასევე ღირებულია ორმხრივი ურთიერთობის გააქტიურება შტატების დონეზე მოქმედ საკანონმდებლო ორგანოებთან (შტატის სენატი).

მიზანშეწონილია მუშაობის გააქტიურება საქართველოს პარლამენტსა და აშშ-ის კონგრესს შორის მაღალი დონის ორმხრივი ვიზიტების გაცვლის გზით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აშშ-ის საკანონმდებლო აქტებში საქართველოს ეროვნული ინტერესების მხარდაჭერი რედაქციების უზრუნველყოფა (აშშ-ის ასიგნებების კანონი (SFOPs), ეროვნული თავდაცვის ავტორიზაციის აქტი (NDAA)).

სასურველია საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტსა და აშშ-ის წარმომადგენელთა პალატაში არსებულ საქართველოს მეგობართა ჯგუფს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, ორმხრივ დღის წესრიგში არსებული საკითხების წინ წამოწევისა და აქტუალობის შენარჩუნების მიზნით.

ამერიკის შეერთებულ შტატებთან გრძელვადიანი თანამშრომლობისათვის არსებობს ასევე მნიშვნელოვანი პოტენციური სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების კუთხით, რასაც ხელს შეუწყობდა აშშ-თან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ხელმოწერა.

აღნიშნულ საკითხზე აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგი და ზემოაღნიშნული ამოცანის რეალიზებაში ხელშეწყობა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებაა.

ეპოზანა 1.5. თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებში

საქართველო, საპარლამენტო თანამშრომლობის ფარგლებში, მუდმივმოქმედი დელეგაციების დონეზე, წარმოდგენილია კანონმდებელთა რვა საერთაშორისო ასამბლეასა თუ ორგანიზაციაში. მათ შორის განსაკუთრებით აქტუალურია ეფექტიანი საქმიანობა ევროპის საბჭოს, ეუთოსა და ნატოს საპარლამენტო ასამბლეებსა და ევროკავშირთან თანამშრომლობის არსებულ ფორმატებში. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთი ქვაკუთხედი სწორედ ამ ფორუმებში საქართველოს ინტერესების გატარება და ეფექტიანად წარმოჩენაა. შესაბამისად, სამოქმედო გეგმაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ამ ორგანიზაციებში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრების აქტივობები.

საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფების საქმიანობა ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში თანაბრად მნიშვნელოვანია. საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფები, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საგარეო პოლიტიკის განხორციელებისა და პარლამენტთაშორის თანამშრომლობის განვითარებისათვის, ხოლო მეორე მხრივ, კომიტეტის საქმიანობის დამატებითი რესურსია. შესაბამისად, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი გააგრძელებს საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფების კოორდინაციას და უზრუნველყოფს მათ აქტიურ ჩართულობას საგარეო პოლიტიკური მიზნებისა თუ ამოცანების მიღწევის პროცესში. კერძოდ, აღნიშნული ფორმატის გამოყენება შესაძლებელია ჩვენი ქვეყნისთვის პრინციპულ საკითხებზე მხარდამჭერი რეზოლუციებისა და განცხადებების ინიცირებისათვის, აგრეთვე მათში კონკრეტული შესწორებების შეტანის კუთხით.

დელეგაციებისა და მეგობრობის ჯგუფების მჭიდრო, კოორდინირებული მუშაობა მეტად ქმედითს გახდის ორმხრივ თუ მრავალმხრივ ფორმატში საქმიანობას, ხელს შეუწყობს საქართველოს დღის წესრიგისა და საგარეო თუ საშინაო პრიორიტეტების უკეთ წარმოჩენას.

ჰომოგენი 1.6. რეგიონული თანამშრომლობის გაკლიერება

საქართველოს დემოკრატიული, სტაბილური და უსაფრთხო განვითარების მისაღწევად, მნიშვნელოვანია რეგიონული თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავება და აქტიური სამეზობლო პოლიტიკის გატარება. კერძოდ, უნდა გააქტიურდეს ორმხრივი საპარლამენტო თანამშრომლობა აზერბაიჯანის მეჯლისთან, თურქეთის პარლამენტსა და სომხეთის პარლამენტთან, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნებს შორის ზოგადი ორმხრივი თანამშრომლობის განმტკიცებას. პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება თურქეთსა და აზერბაიჯანთან სამმხრივი სტრატეგიული ურთიერთობის გაღრმავება, განსაკუთრებული აქცენტით ეკონომიკური, სავაჭრო და ენერგეტიკული პროექტების განხორციელებაზე. მნიშვნელოვანია, სამოქმედო გეგმაში აისახოს კომიტეტის ვიზიტები ზემოაღნიშნული ქვეყნების დედადაქალაქებში.

ჰომოგენი 1.7. ეკონომიკური დიპლომატიის მიმართულებაში განსაზღვრა და განხორციელება

საქართველოს აქვს ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის ამბიციური ხედვა, რომელიც მოიცავს სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში, ინვესტიციების მოზიდვას, ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობას და ტურიზმის სფეროს აღმავლობას.

ევროკავშირსა და ჩინეთთან თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების დამყარების შემდეგ, ქვეყანას განვითარების ახალი შესაძლებლობები გაუჩნდა. მათ შორის შეიძლება დასახელდეს მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზება, ქართული პროდუქციის ახალ ბაზარზე გატანა თუ სხვა ქვეყნებთან ახალი სავაჭრო ურთიერთობების გაბმა.

საქართველოს პარლამენტს, ეკონომიკური დიპლომატიის განხორციელებით, მნიშვნელოვანი როლი აკისრია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში.

კომიტეტი ხელს უწყობს ინფორმაციის გავრცელებას – საერთაშორისო თუ ადგილობრივ დონეზე – იმ უპირატესობათა შესახებ, რაც საქართველოს თავისუფალმა სავაჭრო ურთიერთობებმა მოუტანა. ამასთან, ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გზით, საპარლამენტაშორისო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების დონეზე, კომიტეტი ხელს უწყობს საქართველოს ეკონომიკური პოტენციალის წარმოჩენას, ასევე საერთაშორისო საზოგადოების დამოკიდებულების ფორმირებას ქვეყნის სამრეწველო, სავაჭრო, ენერგეტიკული, ინფრასტრუქტურული, აგრარული, ტურისტული და სხვა პოტენციალების მიმართ.

შესაბამის დარგობრივ კომიტეტებსა და აღმასრულებელ სტრუქტურებთან მუშაობის საფუძველზე, კომიტეტი გამოკვეთს ეკონომიკური ურთიერთობების სპეციფიკას და ძირითად პრიორიტეტებს კონკრეტულ ქვეყნებთან. სწორედ ამ ინფორმაციით იხელმძღვანელებს იგი ორმხრივ ურთიერთობებში, ეკონომიკური დიპლომატიის განხორციელებისას. ამასთან, კომიტეტი ზრუნავს ადგილობრივ და უცხოურ კომპანიებს შორის თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატის გაჩენასა და ეფექტიანი კომუნიკაციის ხელშეწყობაზე.

ადსანიშნავია აზიის რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალის მნიშვნელობა საქართველო-სათვის. ჩინეთი, ინდოეთი, ინდონეზია, სპარსეთის ყურის ქვეყნები სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ საქართველოსთან ერთობლივი მსხვილი რეგიონული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში, ასევე, ტურისტული, ენერგეტიკული, აგარული და სავაჭრო ეკონომიკური პროექტების განვითარების პროცესში. ამ ქვეყნებთან ორმხრივი და მრავალმხრივი საპარლამენტო თანამშრომლობის გაღრმავებით, კომიტეტი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მათთან ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავებას.

ეკონომიკური დიპლომატიის განხორციელებისას კომიტეტი, სხვა ზემოხსენებულ ინსტრუმენტებთან ერთად, იყენებს საპარლამენტათშორისო მეგობრობის ჯგუფის ფორმატს, როგორც მნიშვნელოვან პლატფორმას ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებს შორის ურთიერთობის გაღრმავებისთვის, ასევე მონაწილეობს საერთაშორისო ეკონომიკურ კონფერენციებსა და ფორუმებში, საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში.

ქომახა 1.8. უსაფრთხოების არსებულ და ახალ გამოწვევებზე საპარლამენტო ლონისძიებათა შემუშავების ხელშეწყობა

თანამედროვე ტურბულენტურ სამყაროში, კონვენციურ საფრთხეებთან ერთად, სულ უფრო მძაფრად იჩენს თავს ახალი ტიპის გამოწვევები. საერთაშორისო ტერორიზმი, ჰიბრიდული საფრთხეები, საინფორმაციო ომი, კიბერ დანაშაული, რბილი ძალის გამოყენება და სხვა მსგავსი საფრთხეები გლობალური დესტაბილიზაციის მთავარ წყაროდაა აღიარებული. ანტიდასავლური პროპაგანდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფრთხეა, რისი დაბალანსებაც მსოფლიოს წამყვანი დემოკრატიებისთვისაც მნიშვნელოვანი გამოწვევაა. დღემდე საკანონმდებლო ბაზა წამყვან სახელმწიფოებშიც კი საკმაოდ მწირი იყო. ამ კუთხით მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება, მიიღება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და ჩნდება ახალი საერთაშორისო საკანონმდებლო ინიციატივები. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა ეს პლატფორმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ზემოხსენებული საფრთხეების პრევენციისა და მათთან გამკლავებისათვის. კომიტეტს გამორჩეული როლი ენიჭება შესაბამის საკანონმდებლო ბაზაზე მუშაობის კუთხით. ასევე არსებითია აღნიშნული საფრთხეების პრევენციისა და აღმოფხვრისაკენ მიმართულ საერთაშორისო ინიციატივებში ჩართვა. მნიშვნელოვანია საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების შესწავლა სხვა ქვეყნებში, თუ როგორ უმკლავდებიან ჰიბრიდულ საფრთხეებს და მათთან დაკავშირებულ გამოწვევებს, შემდეგ კი მიღებული ცოდნის ადგილობრივ დონეზე გათვალისწინება.

სტრატეგიული მიზანი 2. კომიტეტის საზედამხებელო საქმიანობის ეფექტიანობის გზის აღმოჩენა

უწყება 2.1. საპარლამენტო ზედამხებელო საქმიანობის პოლიტიკის პრიორიტეტების აღსრულება

კომიტეტი ზედამხებელობას უწევს 1) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების ეფექტიანად წარმართვისა და აღსრულების კუთხით; 2) სახელმწიფო უწყებების საქმიანობას, რომელიც უკავშირდება საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით აღებული ვალდებულებათა შესრულებას, 3) სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებასა და იმ უწყებებს/საკითხებს, რომელთა ხარჯვის კონტროლიც აკისრია.

კომიტეტი შეიმუშავებს ზედამხებელობის სამოქმედო გეგმას, რომელიც მოიცავს რეგულარულ საკომიტეტო მოსმენებს, სადაც შესაბამის უწყებათა პასუხისმგებელი პირები, ასევე მათი მოადგილეები თუ დეპარტამენტის ხელმძღვანელები წარმოდგენენ ანგარიშს განუხილავი საკითხების შესახებ; ასევე, შესაბამის პასუხისმგებელ პირთა მოსმენებს მიმდინარე აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით. კომიტეტი რეგულარულად გამოითხოვს ინფორმაციას/ანგარიშებს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებიდან მათი საქმიანობის შესახებ. წარმოდგენილი ანგარიშებისა და ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, კომიტეტი ამზადებს დასკვნებს და შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს საზედამხებელო სუბიექტისთვის.

საკომიტეტო ზედამხებელობის განხორციელების პროცესში, შესაძლოა, ჩაერთონ სხვა საპარლამენტო კომიტეტებიც, რომლებიც იმავე საქმიანობას ზედამხებელობენ.

სტრატეგიული მიზანი 3. კანონმდებლობითი ფუნქციის გაძლიერება

უძველესი 3.1. კანონმდებლობითი საქმიანობის დახვეწა

კომიტეტის საქმიანობა ვრცელდება ყველა იმ კანონმდებლობით პროცესზე, რომელიც უკავშირდება საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებას, მათ რატიფიცირებას (შეერთებას), დენონსირებას და გაუქმებას, სახელმწიფოს მიერ სესხის აღებასა და გაცემას, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის და საერთაშორისო მნიშვნელობის საკითხებზე პარლამენტის დადგენილებათა მიღებას, საქართველოს დიპლომატიურ სამსახურებს, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საკითხებს.

უძველესი 3.2. კანონმდებლობითი საქმიანობის პროცესში შიდასაკარგო და უწყებათაშორისი კოორდინაცია

საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელებისას, კომიტეტი თანამშრომლობს შესაბამის დარგობრივ კომიტეტებსა და სახელმწიფო უწყებებთან. ასევე, ყველა დაინტერესებულ მხარესთან.

კომიტეტი მონაწილეობს შესაბამის დარგობრივ კომიტეტებს შორის საქმიანობის კოორდინაციასა და თანამშრომლობის ფორმატის შექმნაში, მათ შორის, ორგანიზაციული კუთხით.

საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული საკითხის შესწავლის მიზნით, კომიტეტი ქმნის სამუშაო ჯგუფებს. სამუშაო ჯგუფში მონაწილეობს იქნებიან დაინტერესებული პირები, მათ შორის, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციები, დამოუკიდებელი ექსპერტები.

სტრატეგიული მიზანი 4. კომიტეტის საქმიანობა ქვეყნის ფარგლებს გარეთ სეგურეო პოლიტიკური პრიორიტეტების რეალიზების მიზნით და მისი საქმიანობის შესახებ კომუნიკაციის გაუმჯობესება ქვეყნის შიგნით

პოზანა 4.1. საერთაშორისო უსაფრთხო ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში ქვეყნის პრიორიტეტების აქტიურად წარმოჩენა

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრების საქმიანობის ძირითადი ასპარეზი საერთაშორისო ორგანიზაციები და მათი წევრი სახელმწიფოების დედაქალაქებია. ქვეყნის უმთავრესი საგარეო პოლიტიკური ამოცანების და სამინაო გამომწვევათა გადაჭრის პროცესში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ფარგლებს გარეთ ინტენსიურ კომუნიკაციას პოლიტიკოსებთან, საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ დონეზე, ავტორიტეტულ ექსპერტულ წრეებთან, წამყვან ანალიტიკურ და კვლევით ცენტრებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ მედიასთან. აღნიშნული ძალისხმევა მიზნად ისახავს საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირებას საქართველოში მიღწეული პროგრესის შესახებ. მეორე მხრივ კი, გამოცდილების გაზიარებას ისეთ სფეროებში, როგორცაა დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, ღია, გამჭვირვალე და ანგარიშგაღებულ მმართველობა, ადამიანის უფლებების დაცვა, ეკონომიკური თავისუფლება, საჯარო მომსახურების საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების გაზიარება და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებები.

ქვეყნის პრიორიტეტების ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში წარმოჩენის, ასევე ქვეყნის იმიჯის პოპულარიზაციის მიზნით, წლის დასაწყისში უნდა შედგეს ერთიანი განრიგი/კალენდარი იმ საერთაშორისო სამიტების, კონფერენციებისა თუ ფორუმების შესახებ, რომლებშიც მიზანშეწონილია კომიტეტის წევრების მონაწილეობა. კომიტეტს აქვს პოტენციალი, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, სხვა შესაბამის უწყებებსა და საერთაშორისო დონორებთან კოორდინირებულად, ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამართოს თემატური ღონისძიებები – იქნება ეს სხვა მნიშვნელოვანი აქტივობებისგან დამოუკიდებლად, თუ საერთაშორისო სამიტებისა და ყოველწლიური ფორუმების ფარგლებში.

მაღალი დონის საერთაშორისო ფორუმები შესაძლებლობას აძლევს წევრ ქვეყნებს, გამართონ თემატური ღონისძიებები იმ საკითხებზე, რომელთა ფარგლებშიც ქვეყანაში პროგრესია მიღწეული. მსგავს ღონისძიებებზე საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრებს საშუალება მიეცემათ, გაუზიარონ დაინტერესებულ მხარეებს საქართველოს წარმატებული რეფორმების გამოცდილება და მოახდინონ სახელმწიფო მართვის საუკეთესო პრაქტიკის ექსპორტი სხვა ნაკლებად განვითარებულ სახელმწიფოებში, განსაკუთრებით, ლათინური ამერიკის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის ქვეყნებში. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ფორმატია ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP). მიზანშეწონილია, კომიტეტის წევრებმა, კომპეტენციის მიხედვით, მონაწილეობა მიიღონ გაეროს გენერალური ასამბლეის გენერალური დებატების პარალელურად საქართველოს მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ მაღალი დონის თემატურ ღონისძიებებში, რომელთა მიზანია ქვეყნის წარმატებული პრაქტიკის მაგალითების გაზიარება მსოფლიო დღის წესრიგში მდგარ პრიორიტეტულ საკითხებზე. ასეთი საკითხებია: მდგრადი განვითარება, ადამიანის უფლებები და ჰუმანიტარული საკითხები, კარგი

მმართველობა, ქმედითი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა თუ სხვა. საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით გასააქტიურებელია ქვეყნებს შორის მეგობრობის საპარლამენტო ჯგუფების საქმიანობა. აუცილებელია ამ ჯგუფებისთვის, პრიორიტეტების მიხედვით, შესაბამისი ამოცანების განსაზღვრა და მათ საქმიანობაზე სათანადო მონიტორინგის დაწესება. კერძოდ, ვიზიტების ანგარიშვალდებულების კულტურის დანერგვა, მათი შეფასება და შესაბამისი კორექტივების შეტანა.

საერთაშორისო არენაზე საქართველოს ეფექტური წარმომჩენის მიზნით, კომიტეტის ეგიდითა და ორგანიზებით, მიზანშეწონილია ანალოგიური ტიპის პროექტების განხორციელება ადგილობრივ დონეზე.

უძიანა 4.2. კომიტეტის ჩართულობა მრავალმხრივი სტრატეგიული კომუნიკაციის კოორდინაციის პროცესში

გამჭვირვალე, ქმედითი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობისა და საფრთხეების პრევენციის მიზნით, მნიშვნელოვანია სტრატეგიული კომუნიკაცია ყველა დონეზე. აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა სტრატეგიულ კომუნიკაციაში პარლამენტის პირდაპირი პასუხისმგებლობაა, მისი საზედამხედველო და წარმომადგენლობითი ფუნქციების ფარგლებში. არსებობს დიდი რესურსი სტრატეგიულ კომუნიკაციაში კომიტეტის მეტი ჩართულობისა და მისი როლის გაძლიერებისათვის. კერძოდ, კომიტეტი მხოლოდ აქტიურ მონაწილეობას კი არ მიიღებს ქვეყნის სტრატეგიულ კომუნიკაციაში, არამედ ეფექტიანად შეუწყობს ხელს მრავალმხრივი (Multi-stakeholder) სტრატეგიული კომუნიკაციის მოდელის გაძლიერებას, რომელიც სხვადასხვა აქტორს გააერთიანებს – აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას, სამოქალაქო საზოგადოებას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, მედიას, ბიზნესის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს. თანამშრომლობის ამგვარი პლატფორმა უზრუნველყოფს მხარეთა რეგულარულ ჩართულობას დიალოგის, მოსაზრებების გაცვლის და სამომავლო გეგმების ერთობლივად დასახვის გზით. პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციის გაზრდა კიდევ უფრო დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს, რათა იგი აქტიურად ჩაერთოს აღმასრულებელი შტოს მიერ კოორდინირებულ სტრატეგიულ კომუნიკაციაში, რაც, თავის მხრივ, ზრდის მთავრობის ანგარიშვალდებულებას პარლამენტთან და მათებს საზოგადოების წინაშე გამჭვირვალეობის ხარისხს.

უძიანა 4.3. საზოგადოებასთან ურთიერთობის გააქტიურება

საერთაშორისო ძალისხმევას აუცილებლად უნდა უმაგრებდეს ზურგს საზოგადოებრივი აზრი და განწყობა ქვეყანაში. უაღრესად მნიშვნელოვანია, მოქალაქეებს, სხვადასხვა სოციალური ფენის და ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლებს, მათთვის გასაგებ ენაზე რეგულარულად მიეწოდებოდეს ინფორმაცია; ასევე, არსებითი მოქალაქეების ცნობიერების ამაღლება საქართველოს საშუალო და გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმებზე. სწორედ შიდა აქტიურობაზეა მნიშვნელოვნად დამოკიდებული ამა თუ იმ პრიორიტეტულ საკითხზე საზოგადოების მაღალი მხარდაჭერის შენარჩუნებაც და მეტად გაძლიერებაც. ამ მხრივ ფასეულია რეგულარული ურთიერთობა საზოგადოებასთან, გასვლითი შეხვედრები რეგიონებში და საინფორმაციო არხების, მათ შორის, სოციალური მედიის ამოქმედება, რათა მოსახლეობას ადვილად და ეფექტიანად მიეწოდებოდეს ინფორმაცია კომიტეტის საქმიანობის შესახებ.

საერთაშორისო დემოკრატიულ საპარლამენტო თანამეგობრობაში დამკვიდრებულია ასეთი პრაქტიკა: კომიტეტი პერიოდულად უსმენს მომხსენებლებს მნიშვნელოვან მიმართულებებსა და თემებზე. საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი აპირებს, განსაზღვროს კონკრეტული თემები, დანიშნოს მათზე მომხსენებლები და დაწეროს წლის განმავლობაში მათი მოსმენის პრაქტიკა. ეს განზრახვა სამოქმედო გეგმაში აისახება.

პოზანა 4.4. საპარლამენტო ლიუგის პრინციპის დაცვა; სამოქალაქო საქტორსა თუ მედია საშუალებებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა საკანონმდებლო პროცესში

კომიტეტის წარმატებული საქმიანობისა და ქმედითი კომუნიკაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია თანამშრომლობის გაძლიერება და გაუმჯობესება დაინტერესებულ მხარეებთან, როგორცაა არასამთავრობო სექტორი. ამის მისაღწევად კომიტეტი რეგულარულად უნდა შეხვდეს წარმომადგენლებს (მათ შორის, საპარლამენტო სესიებისას) და მისცეს საშუალება, ჩაერთონ ამა თუ იმ საკითხზე ხედვის შემუშავების პროცესში, რასაც მოჰყვება კონკრეტული საკითხების შინაარსობრივი განხილვა და სამომავლო ნაბიჯების ერთობლივი დაგეგმვა.

გარდა ამისა, კომიტეტმა უნდა გააუმჯობესოს თანამშრომლობა აკადემიურ/სამეცნიერო წრეებთან მათი გამოცდილების გამოყენების მიზნით. ასევე გააძლიეროს კომუნიკაცია მედია საშუალებებთან, რაც საზოგადოებამდე ინფორმაციის სხვადასხვა ფორმითა და საშუალებით მიწოდების მნიშვნელოვანი რესურსი იქნება.

გემოაღნიშნული ნაბიჯები უზრუნველყოფს კომიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულების ზრდას და მოქალაქეთა ჩართულობას, რაც „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) ფარგლებში პარლამენტის ნაკისრი ვალდებულებაა.

პოზანა 4.5. საერთაშორისო პარტნიორობა და დონორებთან თანამშრომლობის გაუმჯობესება

კომიტეტმა უნდა გააძლიეროს და გააუმჯობესოს კოორდინაცია კიდევ ერთ მნიშვნელოვან სამიზნე აუდიტორიასთან – საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პარტნიორ ქვეყნებთან. ამ მიმართულებით მუშაობის დიდი შესაძლებლობა არსებობს. ამისათვის კომიტეტმა, ერთი მხრივ, რეგულარულად უნდა მიანოდოს ინფორმაცია მისი საქმიანობის შესახებ საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებს, უზრუნველყოს მათთან შემდგომი კომუნიკაცია, მეორე მხრივ კი, გამართოს სისტემატური საინფორმაციო შეხვედრები თანამშრომლობისა და მხარდაჭერის ახალ შესაძლებლობათა მოძიების მიზნით.

დაბოლოს, კომიტეტმა უნდა გამოიყენოს კავშირების დამყარების შესაძლებლობა სხვადასხვა საელჩოსა და სხვა ქვეყნების საპარლამენტო კომიტეტებთან (მაგ. აღმოსავლეთ ევროპისა და ევროკავშირში განწვრიანების პროცესში მყოფ ქვეყნებთან) ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

სტრატეგიული მიზანი 5. კომიტეტის ორგანიზაციული საქმიანობის გაუმჯობესება

ამოცანა 5.1. კომიტეტის უფაქტიანი მართვა

დასახული ამბიციური მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, კომიტეტის საქმიანობა საკმაოდ მრავალფეროვანი და კომპლექსურია. ამდენად, საჭიროებს ქმედით და დინამიკურ მართვა-კოორდინაციას.

საგარეო კომიტეტის საქმიანობას ხელმძღვანელობს კომიტეტის თავმჯდომარე, მოადგილეების დახმარებით, რომლებიც ინაწილებენ პასუხისმგებლობას კომიტეტის მართვაზე, ცალკეული სფეროებისა და მიმართულებების მიხედვით. ისინი პერიოდულად აწვდიან ერთმანეთს ინფორმაციას მიმდინარე საქმიანობის შესახებ, წერილობითი ფორმით ან სამუშაო შეხვედრებზე. კომიტეტის ხელმძღვანელობა აქტიურად მონაწილეობს კომიტეტის სამოქმედო გეგმით გასაზღვრულ ცალკეულ საკითხთა განხორციელებაში.

კომიტეტს, როგორც არჩევითი ორგანოს შემადგენელ ნაწილს, ბუნებრივია, გააჩნია მართვის ჰორიზონტალური სისტემა, სადაც თითოეული მისი წევრის საქმიანობა დამოკიდებულია წევრის პირად არჩევანსა და პასუხისმგებლობაზე.

მნიშვნელოვანია წევრებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება კომიტეტის საქმიანობის ცალკეულ მიმართულებათა მიხედვით. კერძოდ, თითოეულმა წევრმა პასუხისმგებლობა უნდა აიღოს კომიტეტის საქმიანობის თემატურ მიმართულებებზე, ან/და ცალკეულ რეგიონებსა და ქვეყნებზე.

აუცილებელია კომიტეტის თითოეულმა წევრმა კოლეგებს პერიოდულად მიანოდოს ინფორმაცია განუვლი საქმიანობის შესახებ, წარმოადგინოს ანგარიშები მისი კომპეტენციის სფეროში შემავალი საკითხების, ასევე ქვეყნებსა ან/და რეგიონებში არსებული სიტუაციის შესახებ. კომიტეტმა უნდა გამართოს ღია თუ დახურული საკომიტეტო მოსმენები და დისკუსიები ამ თემების გარშემო, შესაბამისი სტრუქტურებისა და ექსპერტების მონაწილეობით.

ამოცანა 5.2. საქმიანობის კოორდინაცია პარლამენტის სხვა კომიტეტებსა და სტრუქტურულ ერთეულებთან

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრაქტიკულად ყველა კომიტეტთან აქვს თემატური და ფუნქციური კვება. თუმცა, განსაკუთრებით ღირებულია საქმიანობის კოორდინაცია ისეთ კომიტეტებთან, რომლებსაც უშუალოდ ქვეყნის საგარეო პოლიტიკასთან აქვთ კავშირი. კერძოდ, ესენია თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი,

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი, დიასპორისა და კავკასიის საქმეთა კომიტეტი და დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი.

აღნიშნულ კომიტეტებს შორის უკეთესი კოორდინაციისა და ინფორმაციის მიმოცვლის მიზნით, აუცილებელია დაინიშნოს კომიტეტების ხელმძღვანელთა პერიოდული შეხვედრები. აქ შესაძლებელი გახდება ინფორმაციის გაცვლა და საქმიანობის გეგმების შეჯერება, ასევე მსჯელობა ცალკეულ პოლიტიკურ მოვლენებსა თუ გამონკვევებზე და ერთიანი პოზიციის შემუშავება.

საგარეო ურთერთობათა კომიტეტის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მისი აქტიური ურთიერთობა პარლამენტის აპარატის ისეთ სტრუქტურებთან, როგორცაა ანალიტიკური, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის, საინფორმაცია ტექნოლოგიების დეპარტამენტები.

აღნიშნულ დეპარტამენტთა ფუნქციების და რესურსების გამოყენება კომიტეტის საქმიანობაში (მცირე კვლევები და ანალიტიკური სამუშაო, მედია მონიტორინგი და კომიტეტის საქმიანობის გაშუქება, მათ შორის, სოციალურ ქსელებსა და ინტერნეტ გამოცემებში, კომიტეტის ვებგვერდის მართვა), დაზოგავს საგარეო აპარატის დროს და ძირითადი ფუნქციების შესრულებაზე ფოკუსირების შესაძლებლობას შეუქმნის.

შედეგები 5.3. კომიტეტის აპარატის თანამშრომელთა ფუნქციების გაშუქვა და საქმიანობის გაუმჯობესება

კომიტეტის საქმიანობის წარმატების მნიშვნელოვანი წინაპირობაა კომიტეტის აპარატის გამართული მუშაობა.

აპარატის თანამშრომელთა მუშაობის გასაუმჯობესებლად, კომიტეტმა უნდა შექმნას კვალიფიციური კადრების მოზიდვის მექანიზმები (შესაძლებელია, ეს მოხდეს შვედეთის მაგალითზე, სადაც აპარატის თანამშრომლები არიან საგარეო საქმეთა სამინისტროს მოქმედი კადრები, ეხებათ დიპლომატიური როტაცია და ა.შ.).

